ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. დეკემბრის 5. № 28 ტფილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა.

171. საპროექტო-სახარჯაღრიცხვო საქმის მოწესრიგების შესახებ.
172. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

171. დადგენილება ს.კ.ს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის მოწესრიგების შესახებ.

„სამშენებლო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 9-ის თარიღისა და 361 №-ის დადგენილების დასამატებლად და განსავითარებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-15 №-ი. მუხ. 99) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას შემდეგი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციების ქსელი რესპულიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის დაპროექტებისათვის:

ა) სამრეწველო მშენობლობის დაპროექტების სახელმწიფო ტრესტი—„საქმრეწვპროექტი“—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში:

ბ) არასამრეწველო მშენებლობის ობიექტების (კომუნალური, საბინაო, საადმინისტრაციო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო-სასაწყობო) დაპროექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების სახელმწიფო ტრესტი—„საქკომუნპროექტი"—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში;

გ) საკურორტო, საავადმყოფოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახის მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ტრესტი—„საქკურორტპროექტი"—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სისტემაში;

დ) სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ტრესტი „საქსოფპროექტი"—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში;

ე) ტფილისის საქალაქო საბჭოს მიერ განსახორციელებელი მშენებლობისათვის (სამრეწველო მშენებლობის გარდა): სამოქალაქო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ტრესტი—„ტფილქალაქპროექტი" და საინჟინერო ნაგებობათა დაპროექტების სახელმწიფო ტრესტი—„ტფილინჟპროექტი"—ტფილისის საქალაქო საბჭოს სისტემაში;

ვ) წყალსამეურნეო ნაგებობათა დაპროექტება თავმოყრილ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოში („საქწყალმეურნეობა"), ხოლო სასოფლო ჰიდროსადგურებისა—სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის საქართველოს კონტორაში („საქსოფელექტრო").

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—1936 წ. ნოემბრის 15-მდე:

ა) გამოყონ სათანადო სამშენებლო ტრესტებიდან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანოები და მოაწყონ მათ ბაზაზე 1-ლი მუხლის „ბ" და „გ" პუნქტებში აღნიშნული სახელმწიფო ტრესტები მშენებლობის დაპროექტებისათვის;

ბ) გამოყონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საჭირო საბრუნავი სახსარი ზემოაღნიშნული ახლად მოწყობილი ტრესტებისათვის;

გ) დაამტკიცონ ამ ტრესტების წესდებანი და დაწყებითი ბალანსები.

3. წინადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას (რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობისა)—ლიკვიდებულყოს მის სისტემაში არსებული და ამა დადგენილების 1-ლ მუხლში არ მოხსენებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანოები და ამა დადგენილების გამოქვეყნების დროისათვის დაუმთავრებული ყველა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაო გადასცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციებს კუთვნილებისამებრ.

4. „კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის წესის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მაისის 23-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 27 №-ი, მუხ. 258), დაწესებულ იქნას, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციას შეუძლია შეუდგეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საპროექტო დავალების შედგენას—მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სათანადო წესით დამტკიცებული საგეგმო დავალება;

ბ) ტექნიკური პროექტის შედგენას—მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სათანადო წესით დამტკიცებული საპროექტო დავალება;

გ) სამუშაო და სამონტაჟო ნახაზების შედგენას—მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სათანადო წესით დამტკიცებული ტექნიკური პროექტი.

აეკრძალოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციებს მშენებლობის ისეთი ობიექტების დაპროექტების მიღება, რომლებიც შეტანილი არ არის კანონით დადგენილი წესისამებრ დამტკიცებულ კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიებში და რომლების განხორციელებაც უზრუნველყოფილი არ არის სათანადო სახსრით.

5. „სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-II კარის მე-6 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-9 №-ი, მუხ. 70), წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს და ტფილისის საქალაქო საბჭოს—შეიმუშაონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, სათანადო პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, და 1936 წ. ნოემბრის 15-დან შემოიღონ სამოქმედოდ დებულებანი მათი ქვემდებარე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციების საინჟინერო-სატექნიკო დარგის მომუშავეთა შრომის პროგრესიულ-პრემიალური წესით დასაყიდლების შესახებ და სამუშაო ხელფასის რაოდენობა დაამყარონ დაპროექტების თვისებისა, ღირებულების შემცირებისა და ვადების შემოკლების სრული შესაბამობით.

6. დაწესებულ იქნას, რომ სამეცნიერო-სატექნიკო ექსპერტიზის ორგანოები (სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოები, ტექნიკური ექსპერტიზის ბიუროები და სხვ.), რომლებიც მშენებლობის პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს იხილავენ, არსდებიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით და მათ სათავეში დგანან პირადად იმ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელნი, რომლებთანაც აღნიშნული ორგანოები არსებობენ, ხოლო ამ ხელმძღვანელთა არყოფნის დროს—მათი მოადგილენი.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებებს-შეიმუშაონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, და 1936 წ. ნოემბრის 15-დან შემოიღონ სამოქმედოდ დებულებანი მათი ქვემდებარე სამეცნიერო-სატექნიკო ექსპერტიზის ორგანოების ექსპერტების, კონსულტანტებისა და სხვა სამეცნიერო-სატექნიკო დარგის თანამშრომელთა შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესიულ-პრემიალური წესით დასაყიდლება და სამუშაო ხელფასის რაციონალ-ნობა დაამყარონ ექსპერტიზის თვისებისა და მშენებლობის ღირებულების ოპტიმალური შემცირების სრული შესაბამობით.

8. გაუქმებულ იქნას:

ა) მე-12 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 3-ის თარიღის და 361 №-ის დადგენილებისა „სამშენებლო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-15 №-ი, მუხ. 88);

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ოქტომბრის 4-ის თარიღის და 1277 №-ის დადგენილება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. ნოემბრის 2. № 1407.
ტფილისი.

---

172. დადგენილება ს.კ.ს.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

„კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მაისის 23-ის თარიღის და 925 №-ის დადგენილების მე-8 და 14 მუხლებისა (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 27 №-ი, მუხ. 258) და „სამომხმარებლო, სარეწაო, მეთევზეობის, ინტეგრალური და ინვალიდთა კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“ გამოცემული, იმავე სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 9-ის თარიღის და 2280 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებისათვის დამყარებულ იქნას შემდეგი წესი:

1. მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტებისათვის, რომლების სიასაც ამყარებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებითურთ ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ან ეკონომიური საბჭო საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარია-

ტის ან დამოუკიდებელი ცენტრალური დაწესებულების მოხსენებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნისამებრ.

ამ მშენებლობათა საპროექტო დავალებებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები ან დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი, წინასწარ საქაროველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან აუცილებელი შეთანხმებით.

2. რესპუბლიკური ქვემდებარეობის მშენებლობის ობიექტებისათვის (1-ლ მუხლში აღნიშნული ობიექტებისა და სასკოლო მშენებლობის ობიექტების გარდა) საპროექტო დავალებებს და ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებითურთ ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი.

3. განათლების სახალხო კომასარიატების სისტემის სასკოლო მშენებლობის ობიექტების საპროექტო დავალებებს და ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებითურთ ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ქვემდებარე მშენებლობის ობიექტებისათვის (1-ლ მუხლში აღნიშნული ობიექტებისა და სასკოლო მშენებლობის ობიექტების გარდა) საპროექტო დავალებებს და ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებითურთ ამტკიცებენ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები კუთვნილებისამებრ.

5. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების ქვემდებარე მშენებლობის ობიექტებისათვის (1-ლ მუხლში აღნიშნული ობიექტებისა და სასკოლო მშენებლობის ობიექტების გარდა) ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებითურთ ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები—კუთვნილებისამებრ ამ მშენებლობის დაპროექტების დავალება აუცილებლად წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნას მათთან.

6. არასამრეწველო მშენებლობის (კომუნალური, საბინაო, საადმინისტრაციო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო-სასაწყობო) ობიექტებისათვის, რაც ტფილისის საქალაქო საბჭოს ექვემდებარება (1-ლ მუხლში აღნიშნული ობიექტებისა და სასკოლო მშენებლობის ობიექტების გარდა), საპროექტო დავალებებს და ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებიუთრთ ამტკიცებს ტფილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისრებს უფლება აქვთ მიიღონ თავიანთ განსახილველად და დასამტკიცებლად ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე მშენებლობათა ცალკეული უფრო მნიშვნელოვანი ობიექტების საპროექტო დავალებანი და ტექნიკური პროექტები ხარჯთაღრიცხვებითურთ,—ისე-კი, რომ აღნიშნულმა სახალხო კომისარიატებმა თავიანთ დასამტკიცებლად გამოყოფილი ობიექტების ნუსხა აცნობონ სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ტფილისის საქალაქო საბჭოს წინდაწინვე და არა უგვიანეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უწყებული წლისთვის კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების დროისა.

8. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებისა და ტფილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საპროექტო დავალებების და ტექნიკური პროექტების (ხარჯთაღრიცხვებითურთ) ასლებს ეს ორგანოები წარუდგენენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებს და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებებს ცნობისა და ზედამხედველობის წესით შემოწმებისათვის.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელთ შეუძლიათ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების ქვემდებარე მშენებლობის ობიექტების საპროექტო დავალებისა და ტექნიკური პროექტების (ხარჯთაღრიცხვებითურთ) დამტკიცება მიანდონ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს, როდესაც ობიექტის ღირებულება 50.000 მან. არ აღემატება, ხოლო ქუთაისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ობიექტებისა—არა უმეტეს 100.000. მან.

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს უფლება აქვთ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების ქვემდებარე მშენებლობის ობიექტების საპროექტო დავალებათა და ტექნიკური პროექტების (ხარჯთაღრიცხვებითურთ) დამტკიცება მიანდონ სათანადო სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს, როდესაც ობიექტის ღირებულება 50.000 მან არ აღემატება.

ამა მუხლის წესით დამტკიცებულ საპროექტო დავალებათა, ტექნიკური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ასლებს მათი დამამტკიცებელი ორგანოები წარუდგენენ ცნობისა და ზედამხედველობის წესით შემოწმებისათვის იმ დაწესებულებებს, რომელთაგანაც აღნიშნული პროექტების დამტკიცება მათ ჰქონდათ მინდობილი.

შენიშვნა. ეს მუხლი არა ვრცელდება მე-3 მუხლში აღნიშნულ საკოლო მშენებლობაზე.

10. სარეწაო, სამომხმარებლო და მეთევზეობის კოოპერაციის მშენებლობის ობიექტების დაპროექტების იმ დავალებებს და ტექნიკურ პროექტებს ხარჯთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრიცხვებითურთ, რაც დამტკიცებულ არ უნდა იქნას ამ კოოპერაციული სისტემების საერთო-საკავშირო ცენტრების ხელმძღვანელთა მიერ, და აგრეთვე ინვალიდთა კოოპერაციის მშენებლობის დაპროექტების დავალებებს და ტექნიკურ პროექტებს ხარჯთაღრიცხვებითურთ ამტკიცებენ სათანადო კოოპერაციული სისტემების რესპუბლიკური ცენტრები.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—აღნიშნული კოოპერაციული სისტემების მშენებლობათა ტექნიკურ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს, როდესაც მშენებლობის ღირებულება 300.000 მან. არ აღემატება, ამტკიცებენ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში არსებული ამ კოოპერაციული სისტემების ცენტრები.

11. ცალკეული სახის მშენებლობათათვის აუცილებლად შესაფარდებელ ტიპურ პროექტებს, მშენებლობის მოცულობის მიუხედავად, ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებებს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ—იმ მშენებლობათათვის, რომელთა ღირებულებაც 100.000 მან. არ აღემატება, დაამყარონ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის გამარტივებული წესი, რაც იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გამორიცხულ იქნას საპროექტო დავალება, როგორც დაპროექტების ცალკეული სტადია, და რამოდენიმედ შემცირდეს ტექნიკური პროექტის საერთო მოცულობა, ხოლო ამასთანავე აუცილებლად შედგენილ იქნას მშენებლობის სრული ხარჯთაღრიცხვა.

13. ამა დადგენილებით დამყარებული პროექტებისა და ხარჯთარიცხვების დამტკიცების წესი არა ვრცელდება ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და რეკონსტრუქციის პროექტების დამტკიცებაზე.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და დამოუკიდებელ ცენტრალურ დაწესებულებებს—შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე და, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, შემოიღონ სამოქმედოდ ინსტრუქციები მათი ქვემდებარე კაპიტალური მშენებლობის პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და განხილვის წესის და ვადების შესახებ.

II.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 25-ის თარიღის და 1459 №-ის დადგენილებაში „რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ სსრ კან. კრ. 1935 წ. 33 №-ი, მუხ. 207; 1936 წ. მე-11 №-ი, მუხ. 65):

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სათაური მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“.

2. ამოიშალოს:

ა) შესავალი ნაწილიდან მინიშნება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 9-ის დადგენილებაზე „სამომხმარებლო, სარეწაო, შეთევზეობის, ინტეგრალური და ინვალიდთა კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“;

ბ) მე-5, 6, 7, 8 მუხლები, მე-10 მუხლის „ა“ პუნქტი და მე-14 მუხლი.

3. მე-9 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„9. საგამოკვლევო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დაფინანსება შეიძლება მხოლოდ დადგენილი წესით დამტკიცებულ სატიტულო სიებში დასაპროექტებლად შეტანილი ობიექტებისათვის—ამ სამუშაოების გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში, ხოლო სხვა სამომზადებლო სამუშაოებისა (მუხ. 10)—უკეთუ არსებობს ამ სამუშაოების დამტკიცებული სატიტულო სიები და ხარჯთაღრიცხვები.

სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება შეიძლება მხოლოდ სათანადო წესით დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილი ობიექტებისათვის, უკეთუ ამასთანავე არსებობს ტექნიკური პროექტები ხარჯთაღრიცხვებითურთ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სამშენებლო ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ მიიღონ ისეთი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის წარმოების სამუშაოები, რომლებიც არ შეესაბამებიან ზემოაღნიშნულ პირობებს.

შენიშვნა მშენებლობისა და აგრეთვე სამომზადებლო სამუშაოების დაფინანსება უტიტულოდ, უპროექტოდ და უხარჯთაღრიცხვოდ შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით, რაც გაიცემა თვითეულ ცალკე შემთხვევაში „გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების მიერ კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დროს განსახორციელებული კონტროლის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 27-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის შენიშვნით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 № ი, მუხ. 169).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. ნოემბრის 3. № 1409.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 55. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1/2 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 14/XI; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 870101 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 1034